№ 57

სამშაბათი, 13 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 57

სამშაბათი, 13 მარტი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეკატერინე ყარამანის ასული ლაშხისა, ნიკოლოზ ზიოს ძე ქურდოვანიძე და დარია ბესარიონის ასული კიკნაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორე ბიძისა და მესამე სიძის

გიორგი გრიგოლის ძის ლაშხისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დ. სურამში, საკუთარს სახლში, 14 მარტს, რომელს დღესაც იქმნება დასაფლავება. (1—64—1)

ოთხშაბათს, 14 მარტს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვის შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის ქ. სიღნაღში, 7 ამავე მარტს,

ივანე გიორგის ძის ნასიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ მახლობელნი ნათესავნი დანარჩენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებულისას. (1—6.—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 15 მარტს,

გასტროლი ქუთაისის დრამატიულის დასისა **ვლ. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით და გამგეობლობით წარმოდგენილი იქმნება

ჰამლეტი

ტრაგ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგ. თავ. ივ. მაჩაბლის მიერ

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ოფელიას—ნ. ჩხეიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ივერიამ",

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველ-გვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში" და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთა ავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „ИВЕРІЯ", по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟინერნი:
თ. ა. ი. დადიანი.
თ. დ. გ. ჯორჯაძე.
ბ. გ. ბრაილოვსკი.

(10—6.—2)

გარდაცვალებულის **დურმიშხან შალვას ძის ყურულის** სახლობა გულითადს მადლობას უცხადებს ყველას, ვინც პატივი სცა განსვენებულის სახელს პანაშვიდებსა და ანდერძის აგების დროს დასწრებით (ტფილისსა, გორსა და ს. არბოში), აგრეთვე იმათ, ვინც წერილებით და დეპეშებით გამოაცხადეს თავისი თანაგრძნობა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული შველიძე ტფილისის სამოსამართლო პალატის უმცროს მიწის მზომლად; შთამომავლობით აზნაური კონსტანტინე კალანდარიშვილი ნახჩევანის მაზრის 1-ლ ნაწილის პოლიციის ბოქაულის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ წინ, 11 მარტს, თავად-აზნაურთა თეატრში, განსვენებულ პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის სახსოვრად გამართულ იქმნა სალიტერატურო საღამო. პირველად ქართულის თეატრის მსახიობთ ქ-ნმა საფაროვ-აბაშიძისამ, ბ-ნთ აბაშიძემ, ყიფიანმა, გუნიამ და სვიმონიძემ წარმოადგინეს განსვენებულ პოეტის პიესა „ბიძიასთან გამოხუმრება". პიესამ კარგად ჩაიარა. შემდეგ თავ. აკაკი წერეთელმა წაიკითხა სიტყვა რაფიელ ერისთავის შესახებ. ამ სიტყვას ქვემოდა ვბეჭდავთ. მერე გამართულ იქმნა აპოთეოზი. შუა სცენაზედ, მაღლობზედ, იდგა გარეშემო ყვავილებით შემკული და ელექტრონით მშვენივრად განათებული განსვენებულ პოეტის სურათი. იქვე იდგნენ ქართულის თეატრის მსახიობნი ქალნი და კაცნი. როდესაც ფარდა აიხადა, განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემად დარბაზსა და ლოჟებში მყოფი საზოგადოება ფეხზედ წამოდგა. დასასრულ, ბ-ნმა ს. მგალობლიშვილმა წაიკითხა სურათები სოფლის ცხოვრებიდგან, ხოლო კ. ყიფიანმა რაფიელ ერისთავის ორი ლექსი—„სამშობლო ხევსურისა" და „დედა-ენა". საზოგადოება დიდის აღტაცებით ეგებებოდა და ტაშის ცემით აჯილდოვებდა ყველას, ვინც ამ საღამოში მონაწილეობა მიიღო, განსაკუთრებით აკაკი წერეთელს. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო საღამოს. თეატრი სავსე იყო. დაესწრნენ, სხვათა შორის, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი, კორპუსის უფროსი თავ. ამირეჯიბი, ქართველი მწერლები და სხვანი.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს ამა მიმდინარე წელს მუშაობას შეუდგეს ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას არხების გასაყვანად.

⁂ კვირისათვის დანიშნული საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. კრება ორის კვირის შემდეგ მოხდება.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად გადადებულ იქმნა 118,200 მანეთი. აქედგან 88,650 მანეთი წვრილ მოსამსახურეთ დაურიგდებათ, დანარჩენი—მსხვილ მოსამსახურეთ.

⁂ დღეს, 13 მარტს, ტფილისის სახაზინო პალატაში, ტფილისის გუბერნატორის ი. ნ. სვეჩინის თავმჯდომარეობით, საგუბერნიო სახელმწიფო საბეგრო და საადგილ-მამულო გარდასახადთა გამწერ საკრებულოს სხდომა ექმნება. საკრებულო, სხვათა შორის, განიხილავს ზაქათალის ოლქში გადასახადთა გაწერის საქმეს. ამ სხდომისათვის დაბარებულია ტფილისში ზაქათალის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი იაზიკოვი.

⁂ კავკასიის სამკურნალო გამგეობაში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ მოუმატონ ფული ამიერ-კავკასიის ზოგიერთ სასოფლო ქსენონების შესანახ თანხას.

⁂ 25 მარტს, ბათუმში საზოგადო კრება ექმნება ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთ. კრებამ უნდა აარჩიოს გამგეობის თავმჯდომარე და ერთი დირექტორი.

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს" სოხუმიდგან სწერენ, 6 მარტს ადგილობრივ კლუბის დარბაზში, კნეინა შერვაშიძის თაოსნობით, გაუმართავთ წარმოდგენა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. წარმოდგენას მრავალი ხალხი დასწრებია.

სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ ქალაქის მოურავის თანაშემწედ არჩეული ბ-ნი აჯამოვი მთავრობას არ დაუმტკიცებია.

⁂ სახალხო კითხვათა კომისიას განუზრახავს შეიძინოს მიხეილის ქუჩაზედ მდებარე ბაღი, რომელშიაც წინად „სამუსიკო კრუჟოკის" საზაფხულო სადგომი იყო, ზაფხულში ყველასათვის ხელ-მისაწდომ წარმოდგენების გასამართავად.

⁂ ანჩისხატის ტაძრის მღვდლის შუამდგომლობა ანჩისხატის ქუჩის გაფართოვების შესახებ ქალაქის გამგეობამ ტეხნიკოსს ზურაბიანცს გადასცა. ზურაბიანცმა დაათვალიერა ეს ქუჩა და საჭიროდ იცნო მისი გაფართოვება.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას აზრადა აქვს ამა მიმდინარე წლის შემოდგომაზედ მებაღეთა კრება მოიწვიოს.

⁂ ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამა და გამოფენის გამგე-კომისარმა რამდენიმე დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგში მყოფ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს ი. ს. მედვედევს და სთხოვეს იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გა-

მოფენის პროგრამისა და დებულების მალე დამტკიცების შესახებ.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის ამშენებელ განყოფილებას უკვე გამოუანგარიშებია, თუ რა ხარჯი დასჭირდება შემდეგ გზების შეკეთებას: კახეთის გზას—28,470 მან., ბორჯომისას—15,065 მან., გუმბრისას—24,077 მან. და თეთრ წყაროს გზას—2,083 მანეთი. სულ 69,695 მან.

⁂ ზაქათალის სახელოსნო სასწავლებლის შესანახად ამა მიმდინარე წლისათვის მთავრობას 6,581 მანეთი გადაუდვია.

⁂ მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზედ, სხვათა შორის, ბუფეტი და სხვა და-სხვა გასართობით იქმნება გამართული.

⁂ კვირას, 18 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება მოხდება.

⁂ შაბათს, 9 მარტს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს გელიოსის ფირმისაგან ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ წარდგენილი პროექტი. კომისიამ მცირეოდენის ცვლილებით მოიწონა პროექტი და გარდასწყვიტა წარუდგინოს იგი ამ დღეებში ქალაქის გამგეობას საქმისათვის შემდეგის მსვლელობის მისაცემად და დასამთავრებლად. ის, თუ სად უნდა იქმნას ელექტრონის სადგური გამართული, ჯერ არ გამოურკვევიათ.

⁂ ამ დღეებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ყარსის რკინის გზის ლიანდაგის მე 167 ვერსზედ ჩამოწვა დიდი ზვავი და მატარებლების წესიერი მიმოსვლა შესწყვიტა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, გზა უკვე გაუწმენდიათ და ისევ სწარმოებს ამ გზაზედ მიმოსვლა.

⁂ სათანადო მთავრობამ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას მიიღოს ეხლავე რაიმე ზომები მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად, რომ წყალ-დიდობისაგან მოსალოდნელ შესაძლებელი უბედურება თავიდგან ააცილონ მცხოვრებთ.

⁂ ოთხშაბათს, 14 მარტს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებული სხდომა ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის განაღდების მოსახდენად.

⁂ ამიერ-კავკასიის გზათა უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი გუნევიჩი ამ დღეებში ტფილისიდგან წავიდა ბათუმის ოლქში გზების დასათვალიერებლად.

⁂ დღეს, 13 მარტს, საღამოს 8 საათზედ სხდომა ექმნება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელმაც უნდა განიხილოს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის ამა მიმდინარე 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ განზრახვა აქვთ კავკასიაში საპყრობილეებთან სკოლები დააარსონ. („ახ. მიმ.“)

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს“ დუშეთიდგან სწერენ, მომავალ მაისს დუშეთში აპირებენ თურმე სახალხო კითხვების გამართვას განსვენებულის პოეტის რაფიელ ერისთავის სახსოვრად.

⁂ წინა წლებთან შედარებით წარსულ 1900 წელს ბორჯომის წყალი ბევრად მეტი გაუტანიათ რუსეთსა და საზღვარ გარეთ. ამ წელს გაუტანიათ სულ 1,200,000 ბოთლი.

⁂ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის პირველმა განყოფილებამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სოფ. წიფას მცხოვრების გლეხის გიორგი იოსების ძის ლომსაძისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან 1897 წელს ნოემბერში მკურნალის ნ. პარისკის მოსამსახურის მინდობილებით მოინდომა სასნგარიშო წიგნით სხვა-და-სხვა სანოვაგის გამოტანა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიიდგან, მაშინ როდესაც მან ვითომდა იცოდა, რომ პარისკის მოსამსახურეს, დარდაკანს, მოპარული ჰქონდა ეს წიგნი თავისის ბატონისაგან; ბრალდებული მაღაზიაშივე დაუჭერიათ იმ დროს, როდესაც მისთვის მიუსწვრია იქ პარისკის მზარეულს მისის ბარათით, რომელშიაც სთხოვდა თურმე მაღაზიის გამგეს ძველის წიგნის ნაცვლად ახალი წიგნი გაეგზავნათ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ლომსაძე და გარდასწყვიტა ერთის თვით ციხეში დაპატიმრება.

⁂ ტფილისის ოლქის ფოსტა ტელეგრაფის კანტორებში სამუშაოს ძლიერ მოემატა და აწ არსებული რიცხვი მოსამსახურეთა არ ჰყოფნის, ამისათვის ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობას გადაუწყვეტია სატელეფონო სადგურის ყველა მოსამსახურე (ოცამდისა) ეხლავე გადაიყვანოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ხოლო იმათ მაგივრად მიიღოს მეტელეფონე ქალნი. ქალთა მიღება უკვე დაიწყო.

⁂ კავკასიის საბეითალო გამგეობაში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში საქონლის ჯოგის გარეკის ნება არ იქმნას დართული, როგორც აქამდის იყო წესად მიღებული ყოველ გაზაფხულის დამდეგს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია მე-8 ნაწილის ბოქაულისათვის, თვალ-ყური ადევნოს მდინარე მტკვრის მომატებას, რომ თავისს დროზედ დაიცვან რიყის მცხოვრებნი და მათი ქონება წყალ-დიდობისაგან.

⁂ ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში შესასვლელად ეგზამენის დაჭერის უფლება მიეცათ, სხვათა შორის, აფიცრებს თავ. მაჟაშვილს, ელიოზიშვილსა და როინაშვილს. ეგზამენს დაიჭერენ სამხედრო ოლქის შტაბში.

⁂ ს. ხორგა (ზუგდიდის მაზრა). თებერვლის შუა რიცხვებში აქ ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა. ამავე სოფლის მცხოვრები მ. პ. ჭითავა თავისის ცოლ-შვილით საქმისა გამო სხვაგან წასულა. სახლში მხოლოდ დარჩენილა უფროსი ქალი-შვილი და ერთი პატარა მოსამსახურე გოგო. იმავე ღამეს ქალს რამდენიმე უმაწვილი კაცი ესტუმრა თურმე. კაცებმა გარედგან დაუძახეს ქალსა: „კარები გაგვიღე, საქმე გვაქვს თქვენთანაო“, მაგრამ ქალმა იცნო, რა წმინდა სულისაც იყვნენ და კარები არ გაუღო. „საიდგანაც მოსულხართ, ისევ იქით მიბრძანდითო“, მიუგო ქალმა. ამათ კარების შემტვრევა მოინდომეს და დაუწყეს კარებს მტვრევა. მოთმინებიდგან გამოსულს ქალს ეთქვა: „ღმერთო, რჯული, მოგკლავთ ერთ-ერთს მაინც; ამიტომ უკეთესია თავი დამანებოთო“, მაგრამ ვინ გაუგონა. ამ ქალმა რევოლვერი, მიავიდა კარებთან, ესროლა და ერთი კაცი მძიმედ დასჭრა. ამხანაგებმა დაჭრილი კაცი წაიყვანეს და გაიქცნენ. ბოლოს გაიგეს, ვინც იყვნენ ეს ვაჟბატონები.

⁂ პოლიციის მე-3 ნაწილში, შუა ბაზარში მეპურის საპანელიძის დუქნიდგან მის შინ არ ყოფნის დროს რაჭის მაზრის მცხოვრებს სიმონ სილანიძეს მოუპარავს მისთვის 175 მან. ვექსილი და სხვა საბუთის ქაღალდები. სილანიძე პოლიციამ უკვე შეიპყრო. გამოძიება სწარმოებს.

სიტყვა,

თავ. აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული 11 მარტს განსვენებულ რაფიელ ერისთავის სახსოვრად გამართულს საღამოზედ.

განსვენებულ რაფიელ ერისთავის სახელი, როგორც პოეტისა, ჩვენში ვის არ გაუგონია? მაგრამ როგორც საზოგადო მოღვაწეს ისე ყველა ვერ იცნობს. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ჩვენში საზოგადო საქმეებს გონების თვალით ვერ უჭვრეტენ და რაც თვალსა და ყურს ნაძალადევად არ ეჩხირება, იმაზე ბევრი არა იციან რა და სწორეთ ამითი აიხსნება ის სამწუხარო მოვლენაც, რომ ჩვენში, ვისაც ერთი-ორი ლექსი დაუწერია, ან და სცენაზედ გაუკუნტრუშებია, გინდ უნიჭოც იყოს, მოღვაწედ არის ცნობილი და იმათი კი, რომელთაც თავისი სიცოცხლე ჩუმ შრომასა და ტანჯვაში გაუტარებიათ, ვერ ჰხედვენ. რაფიელ ერისთავიც, რომ პოეტი არ ყოფილიყო, როგორც საზოგადო მოღვაწე, უყურადღებოდ დარჩებოდა, მით უფრო, რომ ის მოღვაწეობდა დასავლეთ საქართველოში, ესე იგი, იმერეთში, და არა საქართველოს იმ შუა გულში, რომელსაც „ქალაქი“ ეწოდება და სადაც ყოველი ნაბიჯი, გინდ მცირედიც იყოს, თვალ-საჩინოა.

ამ ნახევარ საუკუნის წინეთ იმერეთისაკენ გადმოიყვანეს სამსახურში თავადი რაფიელ ერისთავი, ჯერ კიდევ ახალგაზდა, იმ დროისთვის შესაფერად, კარგად ნასწავლი და გამოზდილი. კალამი უჭრიდა და თანშობილ ნიჭთან ერთად შეკავშირებული თანშეზრდილი შრომის მოყვარეობა დიდებულ მომავალს უქადდა, მაგრამ ახალმა მოთხოვნილებამ, იმ „სულმა ბოროტმა“, რომელმაც მეორე ჩინებული მგოსანი ნ. ბარათაშვილიც აატირ-ააქვითინა, შეუშალა ხელი, შეაფერხა მისი ჩინოვნიკური წინ-მსვლელობა და, ნაცვლად აღმატებულებისა, ის გახდა მხოლოდ ჩვეულებრივად, ჩვენებურად, ხელწამოსაკრავ „ჩვენ რაფიელად“. გაზაფხულის პირად სულ პირველ ხანებში, სანამ ტყე ფოთოლს მოისხამდეს და ხე ყვავილს გამოიღებდეს, კუკური გაიფურჩქნებოდეს, ჯერ კიდევ ისევ გაცრცვნილ მცენარეობას რაღაც სხვაფერობა ეტყობა, თითქოს კარგს რასმე ეპირება და ღიმილი მოსდისო. ეს გაზაფხულისაკენ გადასადგმელი პირველი ბიჯია, ის დრო, როდესაც ჯერ კიდევ მცენარის ტანში უჩინრად ჩამდგარი ცხოვრების წყალი ნელ-ნელა მხოლოდ მაჯას აცემინებს, რომ მერე, ერთთავად გამოხეთქოს, გამოაღვიძოს მიძინებული ბუნება და სიცოცხლით სავსე შემოსოს ფოთოლ-ყვავილებით. მაშინდელ ჩვენ ცხოვრებაშიაც სწორედ ამგვარი დრო იყო: ჯერ მესამოცე წლების მოღვაწეები არსადა სჩანდნენ, მაგრამ პირველი ბიჯი-კი მათკენ იყო მიმართული და ერთ განმაცხოველებელ წვეთთაგანი იყო თ. რ. ერისთავიც. ახალ ცხოვრების მონაბერით გამსჭვალულმა მგოსანმა მიმოიხედა გარეშემო და დაინახა მის წინ მდებარე ორტოტი, კაპარჭი, გზა: ერთი საპირადო, გატკეპნილი, „იავარდით“ მოფენილი „ზევსურ-მზეშინით“ და „იავ ნანინათი“ პირ-დაპირ საფუნდრუკოსაკენ წამტყუებელი; მეორე საზოგადო, უსწორ-მასწორი, ოღრო-ჩოღრო, შამბნარ-ეკლიანი, სახიფათო და საშიში, მაგრამ ერთხელ ოდესმე უკვდავების წყაროს სათავემდე მიმყვანი. დაფიქრდა მგოსანი: რომელი ერთი მათგანი აირჩიოს? საპირადო, რომლის გავლაც ადვილია და დიდების მომნიჭებელიც, თუ საზოგადო, სიკვდილამდე სანაღველ-ძმარო? ერთს აჰყავს მაღალ საფეხურზე, აღიადებს მიმდევარს და მისის გარეგნობით თვალ-მოჭრილ და მოხიბლულ ხალხის სათაყვანოდა ჰხდის. მეორე კი ამცირებს და სასაცილოდაც გამოჰყავს თანამედროვე ბრბოს თვალში, ღლიურ მუშაკად და წვრილმან მებრძოლად გადაქცეულს, მის უანგაროდ მიმყოლს. ეს კარგად ესმის მგოსანსა და ყოყმობს! განსაცდელშია ჩავარდნილი მისი ადამიანური თავ-მოყვარეობა. აღარ იცის, რომელი რომელს შესწიროს? სული უმსხვერპლოს ხორცს თუ ხორცი ანაცვალოს სულს? საფრთხეშია! მაგრამ ამ დროს თვალწინ ეხატება ნ. ბარათაშვილი და მგოსანი მგოსანს მაღლით ჩამოჰბერავს დაუვიწყარ სიტყვებს:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს
განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
და ჩემ შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე
გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის
ბედის წინ გამოუქროლდეს“.

ამის გამგონე, გამოერკვევა ახალგაზდა მგოსანი და გადაჭრით ამბობს:

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა-რა არგოს“.

ამ გზით მიდიოდნენ ზღაპრული გმირები უკვდავების წყაროს მოსატანად. ამ გზით იარა ნესტან-დარეჯანის მძებნელმა ტარიელმაც: მინდვრად მეკობრენი უხვდებოდნენ, ტყეში მხეცები, შამბნარში ლომ-ვეფხვი და ქვაბში დევები, მაგრამ არ შეუშინდა ბედს!.. მხლებელნი გაუწყვიტეს და თითონ-კი მაინც გადარჩა და გამოიხსნა სათაყვანო. აი, ამ გზით, სწორეთ ამ სახიფათო გზით გაივლის მომავალი ტარიელი, ჩვენის ცხოვრების საერო გმირიც და ჩვენ-კი, როგორც ტარიელს მისმა მხლებლებმა, ხელი უნდა შეუწყოთ მის გმირობას და თავი მსხვერპლად დავდვათო!— გადასწყვიტა გუნებაში და კიდევაც შერჩა სიკვდილამდე საზოგადოს, ისე როგორც ძველი გამდლები შერჩნენ უსასყიდლოდ ძველ, ოდესმე დიდებულ, მაგრამ ბოლოს-კი დაქცეულ ოჯახებს. როგორც ნამდვილი ოპოზიციის წევრი—ის იყო ფრთხილი, წინდახედული, ამწონ-გამზომი საქმისა და გარემოებისა; გრძნობა მოუყიდველი და გამბედავ-შეუპოვარი.

ბატონ-ყმობა ჯერ კიდევ გადავარდნილი არ იყო, მხოლოდ ხმები დადიოდა მის შესახებ. მართალია, ჩვენში თუმცა ბატონ-ყმობას მისთანა მტარვალური და მონური ხასიათი არაოდეს არ ჰქონია, როგორც სხვაგან, მაგრამ მაინც იმ უჩვეულო მოლოდინმა საერთოდ ყველა აალელვა და ორივე მხრით დიდი განგაში გამოიწვია. საჭირო იყო, რომ შუაში ვინმე ჩამდგარიყო და როგორც ერთის, ისე მეორის მოკანანახედ გამხდარიყო. ამ გვარი მოვალეობა, სახიფათო და სამძიმო, თავს იდვა მაშინდელმა ახალგაზდობამ, და კიდევაც გაისმა მისი შეუპოვარი ხმა. საზოგადოების უფროსმა ნაწილმა იუცხოვა მათი საქმეში „არა-მკითხე მოამბედ“ ჩარევა. ამათ ვინ რასა ჰკითხავთ, რომ ღრიალებენო? ალბათ ღრიალა თერგის წყალი დაულევიათ, იმას უწყენია და მიტომ ღრიალობენ ესენიც. ასე გადასწყვიტეს და კიდეც დაარქვეს მათ „თერგ-დალეულები“. ვერ მიხვდნენ, რომ „თერგ-დალეულების“ სურვილი იყო, საქმე კეთილად გათავებულიყო „არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური“. მოწინააღმდეგეები-კი არც ერთს არა ჰზოგავდნენ!.. ერთის მხრით ფარისევლური სათანგი,— მეორეთი ქრისტიანული სიმართლე!.. მარცხნივ უფლებითი ძალა,—მარჯვნივ მოციქულებრივი თავის განწირვა და შეუპოვრობა! გაიმართა ბრძოლა!.. ბრძოლა „კოლო-ბუზებისა“. ისინი უნდა ხერხს დადგომოდნენ: უნდა ცხვირში შესძვრომოდნენ ძლიერ მოპირდაპირეს და ეს კი საშიში იყო, რადგანაც ცხვირთან პირი ახლოა.— ბატონ-ყმობის გადავარდნას მალე თან მოჰყვა სხვა-და-სხვა რეფორმებიც. აქაც იგივე განძრახვა ერთის მხრით და იგივ ჩაგრულთა სარჩლი და შეუპოვრობა მეორისა.— თ. რაფიელ ერისთავი თუმცა ფრთხილობდა, მაგრამ მაინც შენიშნულ იქმნა.—ჯერ მაზრის უფროსად იყო ზუგდიდში, სადაც დღესაც კიდევ იგონებენ და კურთხევით იხსენიებენ. შემდეგში დააყენეს ქუთაისის მომრიგებელ-მოსამართლედ; აქაც სახელი გაითქვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებია. წვრილ ცოლ-შვილით დატვირთულმა ადვოკატობას მიჰყო ხელი. ნუ დაივიწყებთ, რომ მაშინდელი ადვოკატობა სულ სხვა გვარი იყო. დღეს ძვირად მოიპოვება მისთანა ადვოკატი, რომ მდიდარს კლიენტს, რომლისაგანაც გულ-საჯერო სასყიდელს გამოელის, ზურგი აქციოს და ღარიბს, მაგრამ მართალს მის მოპირდაპირეს გამოესარჩლოს უსასყიდლოდ. განსვენებულ რ. ერისთავს-კი, ისე როგორც სხვა მის თანამოღვაწეებსაც, ბევრჯელ ჰქონია ამგვარი შემთხვევა.

იმავე დროს ის იყო თეატრის მოყვარული. სცენა მიაჩნდა ერთ იმ გვარ ადგილთაგანად, საიდამაც ხალხი იმოძღვრება და იწვრთვნება. მაშინ ხომ სამუდამო თეატრის ხსენებაც არ იყო. იყვნენ მხოლოდ თეატრის მოყვარენი და მათში რ. ერისთავიც დაუღალავი მუშაკი იყო: სწერდა პიესებს, თამაშობდა სცენაზე, სუფლიორობდა, რეჟისორობდა და სხვანი და სხვანი. ერთი სიტყვით, იმ დროის საზოგადო მოვლენა მისთანა არ ყოფილა რა, გინდ წვრილმანიც ყოფილიყოს, რომ მაშინდელ გუნდს და მასთან ერთად რ. ერისთავსაც გვერდი აექციოს,

არ გარეულიყოს. მაშინდელი დრო ამ ჩვენი დროდან ისე განსხვავდება, რომ ვინც დამსწრე არ არის და ან გულდაგულ არ შეუსწავლია ის დრო, ვერც-კი წარმოიდგენს. დღეს ხშირად გვესმის ხოლმე საყვედური მაშინდელ მოღვაწეებზედ: მართალია, ნიჭი ჰქონდათ, მაგრამ მოუმზადებელნი იყვნენ, თანაც ზარმაცობდნენ და ამიტომაც ნაყოფიერობა ვერ გამოიჩინეს და სადიადო ვერა დაგვიტოვეს რაო. შემცდარი აზრია!.. მესამოცე წლების მოღვაწეებს ჩვენ ვცნობთ დღეს მხოლოდ განაგონებით. წავიკითხავს რამდენიმე მათი სასიმღერო, ან სასაცილო ლექსთაგანი და მორჩა-გათავდა!.. ეს არ კმარა!.. მუშტრის თვალით რომ გვქონდეს გადაკითხული და გულწრფელად შესწავლილი მაშინდელი მწერლობა, სადაც გამოცხადებულია მაშინდელ მოღვაწეების პროგრამა, უფრო მეტი რამ გვეცოდინებოდა მათ შესახებ და ისინიც საყვედურს ასცდებოდნენ. მაგალითად: „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ერთი ზღაპარი, რომელიც მაშინდელ მოღვაწეობის სარკე იყო: ერთი მარტოხელა კაცი იყო. რომ საოჯახო ცეცხლი არ გაქრობოდა და კერა არ გაციებულიყო, ყოველგვარი საოჯახო საქმე იკისრა და აქაც ეტანებოდა და იქაც, რომ არც ერთი მათგანი არ გამქრალიყო და ცოცხალ-მკვდარი მაინც მიეტანა იმ დრომდე, როცა წვრილი შვილები წამოეზრდებოდნენ, და ჩაებარებინა მათთვის. ნატვრა აუსრულდა. მართლა მოესწრნენ შვილები და შვილი-შვილები და ოჯახიც გამობრუნდა და სიკეთისაკენ წავიდა. თავმომწონე შვილებმა უსაყვედურეს მოხუც მამას: ხომ ხედავ, როგორ ვაკეთებთ საქმესო?. შენ ხელში ჩვენ საოჯახო საქმეებს სიცოცხლის ნიშან-წყალი ძლივს ეტყობოდა და ახლა-კი ძლიერიაო. ალბად გიზარმაცნიაო?.. „შვილებო! რასაც ამბობთ, სულ მართალიაო, მიუგო მამამ მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ რასაც დღეს ყველა აკეთებთ, მაშინ მარტო მე ,უნდა მეკეთებია როგორც მარტო-ხელ კაცსაო. თქვენ დღეს საქმეები გაგინაწილებიათ, თვითოს თვითო საქმე აგიღიათ და მე-კი ყველასთვის ერთად უნდა მექნაო. და თუ ასე არ მექნა, ეგ თქვენი საქმეები აქამდინ ველარ მოაღწევდნენ, ოჯახი გაცივდებოდა და თქვენც სადმე წანწალოდით ბოგანოდო“.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს იგავი დაიბეჭდა „დროებაში“ და ნათლად გვიხატავს არა თუ მარტო მაშინდელ ახალგაზრდობას, დღევანდელსაც-კი. მესამოცე წლების მოღვაწეებზე სხვა-გვარი საყვედურიც ბევრი გაგვიგონია და გვესმის დღესაც: „ზარმაცები იყვნენ, რაც შეეძლოთ, იმის მეოთხედიც არა გაუკეთებიათ რაო. აქეთ-იქით ცუდად ატარებდნენ დროსო, გაუტანლები იყვნენ და მიუკარებელიო და სხვანი“... მაგრამ ეს მართალი არ არის. შემცდარი აზრია.. და ეს შეცდომაც თითქმის კანონია საზოგადოდ ცხოვრებაში. მოვიტანოთ მაგალითი: ყველამ კარგათ იცით, თუ რა არის ფუტკარი, ის სულისა და ხორცის მოსამსახურე მუშაკი!.. მისი ნაწარმოები გვატკბობს და ბნელს გვინათებს. ქვეყანას სასოებათ ჰყავს წარმოდგენილი!.. ჩვენი ხალხიც „იობის ჭიას“ ეძახის, იობის გვამიდან გამოსული და ღვთისგან ნაკურთხიო. თანაც ანდაზა გამოუთქვამს: „ბუზი ყველა ბზუის, მაგრამ ფუტკართან ყველა სტყუისო“. ოჰ, რამდენი სიყვარულია ამ სიტყვებში.— ხალხს უყვარს ფუტკარი, მაგრამ იმავე დროს კიდეცა სძულს. უყვარს შორიდან და ეჯავრება ახლოს.

როცა ჩვენ გვიდგას წინ თაფლი და ბუზები ეხვევიან, ჩვენ ხანდახან ხელის აქნევაც-კი არ გვინდა, რომ ბუზები გავრეკოთ, მაგრამ აბა იმავე დროს შემთხვევით როგორმე შემოფრინდეს ოთახში ფუტკარი, თვით იმ თაფლის მომნიჭებელი, და გავიგონოთ მისი ბზუილი, თუ მაშინვე არ ავშფოთდეთ და არ ვეცადოთ მის ოთახიდან გაგდებას!.. და რათა? ბუზებმა რა გააკეთეს, რომ არას ერჩით და ფუტკარმა რა დააშავა, რომ სდევნით? „მართალია, ბუზი ხან იარაზე გვაჯდება, ხან ცხვირსა და პირში გვიძვრება და გვაწუხებს, მაგრამ ფუტკარივით მწარეთ არ იკბინებაო“. ეს მართალია, მაგრამ განა ფუტკარი ვისმესა ჰკბენს მაშინ, როდესაც, პირ-იქით, ხელს არ უშლიან მის საქმიანობას? ვინ არ იცის, რომ ის ღვთის ბუზი თავის ცოტა-შხამიან ისარს მხოლოდ ფარად ხმარობს, როგორც დამხდური?! მაგრამ სად არის სამართალი?.. „ფუტკარი რომ მოუსვენარი არ იყოს, აქეთ-იქით არ ბზუოდეს ტყუილა-უბრალოდ ჩ ხარაბუზასავით დამჯდარი მუშა იყოს, რა კარგი რამ იქნებოდაო“, ამბობენ ხოლმე ხშირად. მაგრამ ესეც ხომ შემცდარი აზრია და გონიერების ბეჭდით დაუმოწმებელი!! განა საგანი მათის საქნარის ერთი და იგივეა? ხარაბუზა ფუნეს აკვარკვალიტებს და ინახავს თავისთვის და მასალაც იმდენი აქვს, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის. ფუტკარი კი სანთელ-თაფლის წმინდა ნაწილებს ფიორ-ფიორად ეძებს ყოველგან. ხან აქ არის, ხან იქ, ხან ერთ ადგილს დააჯდება, ხან მეორეს, მოუსვენრად დაჰფრენს და ბზუის, ვინ იცის რამდენ ხაშმიან მცენარეს წაატყდება, მყრალ-ბალახს თავს ევლება, მაგრამ მისი სიწმინდე არაფერს ცუდს არ იკარებს, მხოლოდ სადაც კი იპოვნის საჭირო მასალას, იქ შეჩერდება სრულის მისის გრძნობა-გონებით, ამოსწუწნის წმინდა ნაწილებს, იხვევს ფეხებზე და საღამოს დატვირთული ბრუნდება თავისს საფუტკრეში, რომ იქ სიწმინდით და სიტკბოებით შეამზადოს საქვეყნო ძღვენი. აი, სწორედ ამ ფუტკარს მოგვაგონებენ საზოგადოდ ყველგან გულწრფელნი, ქვეყნის ერთგულნი მოღვაწეები, და კერძოდ მესამოცე წლების ჩვენი მშრომელნიც, რომელთა რიცხვშიც რაფიელი ერთი ჩინებულთაგანი იყო, და ამასვე გვიპასუხებენ, საიქიოდან ჩემის პირით, მით უფრო, რომ მათში მეც ვერიე, როგორც ერთი უმცირესი მათგანი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, და გაგონებითაც-კი გაგვიგონია, რომ რაფიელი მაგ ბედისა არ ყოფილაო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია: მართალია, ბოლოს დროს ის იყო მოსვენებულად თავისთვის, არც არავინ რას ჰყვედრიდა და პირ-იქით სიყვარულს უცხადებდნენ, მაგრამ ეს იყო ამ ბოლოს, როდესაც საზოგადო მოღვაწეობაზე თვითონაც ხელი აიღო, მაგრამ იმ დროს კი, რომელიც ჩვენ ზემოდ დავასახელეთ, იმას ბევრი მოხვედრია, ბევრი შეურაცხყოფა აუტანია უსამართლოდ და ბევრი სიმწარე უგრძვნია!.. და იმან დააბერ-დააუძლურა უდროვოდ. ხშირად გვესმის: უცხოეთში მოღვაწენი დიდხანს სძლებენ და შრომობენო. იქ სხვა არის. ერთისაგან დაწყლულებულს გულს ათასი ამთელებს და სხვა-და-სხვა გვარ მალამოთი უშუშებს. აქ ათასი რომ გცემს, ეგებ ერთმა ძლივს მოინდომოს ხელის დაფარება და ამიტომაც ჩვენებური მოღვაწე ბერდება და იჩაგრება ხორცითა და სულით.

ამ ორის წლის წინად ერთხელ კიდევ მქონდა შემთხვევა, რომ თელავში მენახა თ. რ. ერისთავი... დიდად გაიხარა და ახალგაზდურ აღტაცებით იგონებდა ბევრს რასმე საზოგადო საქმის გამოისობით. ბოლოს ამოიხვნეშა და მწარის ღიმილით მითხრა:

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭაღარა;
შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ,
ბატონს უნდივარ აღარა“-ო.

მე გავუტრიზავე: სცდები, არავის დავიწყებიხარ და კიდევაც ყველას უყვარხარ-მეთქი.—რაღაო? მიპასუხა ნაღვლიანად.

„ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა!
თამამად ვეღარ იძახის
ჩემი დაფი და ნაღარა“-ო!..

და, მართლაც, ის აღარ იყო, რაც მინახავს!.. ძალ-ღონე აღარ შესტანდა, მაგრამ გულს-კი მაინც გულობა არ მოშლოდა... საზოგადო საქმეებზე ლაპარაკობდა და წამ-და-უწუმ ღმერთს ახსენებდა: არაფერია, გულს ნუ გაიტეხთ, ღმერთი მოწყალეა, ღვთის-მშობლის წილხვედრი ვართ და მისი მადლი არ გაგვწირავსო. მე ყურს ვუგდებდი და მაგონდებოდნენ ძველი გმირები, სხეულის დამაბუნების შემდეგ რომ ყრუ უდაბნოებს მიმართავდნენ ხოლმე და ლოცვაში ავედრებდენ ღმერთს საქართველოს.

მომაგონდნენ და მეც გავმხნევდი!.. არა, „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“-მეთქი. მაშინ თუ თორნიკე ერისთავები იყვნენ, დღეს რაფიელ ერისთავი გვყავს სანუგეშოდა-მეთქი... ამ გრძნობით გამოვეთხოვე საამქვეყნოდ სამარადისოდ ჩინებულს მგოსანსა და გულ-წრფელს მოღვაწეს.

აკაკი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ხევი (საქართველოს სამხედრო გზა). რკინის გზების ტარიფის შემცირებამ და თანაც პეტროვსკ-დარუბანდის რკინის გზის გაყვანამ რუსეთის ყველა მოტანტალე გლეხს საქართველოს საზღვრებში მისვლა-მოსვლა გაუადვილა. მრავალი ციმბირში გადასახლებული ცუდი ყოფა ქცევის კაცი ციმბირის რკინის გზამ სულ კავკასიას მოურეკა. მოტანტალეების მისვლა-მოსვლა მარტო იმით-კი არ არის გაადვილებული, რომ მგზავრობა სწრაფი და იაფია; არამედ იმითი, რომ ათას და სამიათას ვერსს ისე გაივლის მოტანტალე, რომ არსად რკინის გზაზედ ბილეთს არავინ მოჰკითხავს. მრავალი ამისთანა თავისს ქვეყნიდგან განდევნილი და სხვისს ქვეყნებში მოხეტიალე იჩემებს რომელისამე მონასტრის მოსამსახურეობას, იყენებს გრძელს თმა-წვერს, იმოსება მონასტრის მოსამსახურეების მიერ მითვისებულის სამოსლით, იკიდებს ყელზედ ჯვარს, ანუ ყულაბს, მიდის, სადაც უფრო მიყრდნილი კუთხე და მიყრუებული სოფლებია და ჰკრებს: ფულს, კვერცხს, ხილს, ტანთსაცმელსა და ყველს ხალხს ატყუებს, მონასტრისათვის მინდა, იქ მოგიხსენიებთო. ამისთანა ხალხი, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზედ 18 წელი ვმსახურებდი საინჟინერო უწყებაში, ოცობით და ორმოცობით მინახავს; პირადად-კი 7 გავიცანი. წმიდანების სახელით შეკრებილი ფული შემდეგ სანოვაგე-სასმლის დუქნებში იჭმევა და როცა ნაშოვნი გამოელევა, ხელ ახლად თავისს ხელობას შეუდგება. ერთის ასეთის მონასტრის „ბოლომოლცის“ ანუ „პოსლუშნიკის“ მიერ ჩადენილი სისაძაგლე სარწმუნო წყაროდგან ვიცი. ერთს ამისთანა მოტანტალე გლეხს (მუჟიკს), მცხეთის ტაძრის დათვალიერების დროს, როგორმე დრო დაჰრჩენია და მოუპარავს წმიდა ელენეს პატარა ხატები, სამი ნაჭერი. ორი უცნაურს ძვირფასს ქვაზედა უთვილა საუცხოვო ხელოვნებით ნახატი და ერთიც მარმარილოს ქვაზედ,—ორ სურათად ნახატი როგორც თურმე ზედ წარწერა ამტკიცებდა, განძები ეკუთვნოდა მეოთხე საუკუნის ნახევარს, ე. ი. 337 წლებს. ეს ძვირფასი წმიდანის განძი მუჟიკს ამ წარსულს ზაფხულს მედუქნე ვანო მარკოზოვისათვის შეუგაჭრებია ქ. პიატიგორსკში, მაგრამ ვაჭარს მარკოზოვს იგინი არ შეუძენია. შემდეგ იქვე არუთ მოვაჭრე არუთინოვისათვის (სომხის) მიუყიდნია მუჟიკს სამივე სურათი მანეთ-ნახევრათ და ამ უკანასკნელს გარდაუწყვეტია, მომავალს პარიჟის გამოფენაზედ უნდა წარვადგინოვო. მე ეს არ ვიცი, ვაჭარმა არუთინოვმა მართლა წარადგინა გამოფენაზედ თუ არა, მხოლოდ, მუჟიკის სიტყვით, მრავალმა იცის, რომ ეს წმიდათა სურათები მცხეთის მონასტრის გალავანში უპოვნია ვითომ და იქიდგან წამოუღია. ნუ-თუ არა კმარა რაც აქამდე ჟამთა ვითარებამ წაგვტაცა, შინაურმა თუ გარეშე მტრებმა სძარცვეს და ჰშვლიფეს ჩვენის წინაპართა მიერ სისხლით და ოფლით შექმნილი და შეწირული ძვირფასი ხატები, წიგნები და საეკკლესიო საუნჯენი? რად უნდა ეძლეოდეს ყველა მოტანტალეს ნება საეკკლესიო ძვირფას ნივთთა ნახვისა და ხელის შეხებისა?..

ა. კობაიძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Caucase Illustré“-ეს გასულის წლის უკანასკნელს ნომერში დასტამბულია ქ. მურიეს ლია წერილი ტფილისის ქალაქის მოურავ ევანგულოვის მიმართ. ქ. მურიეს, როგორც მკითხველიც დაინახავს, ბროსესისა და დიუბუა დე მონპერეს უმადურობად ქუჩების ქალაქში უქონელობა უთვლია სამართლიანად აი, რასა სწერს ლია წერილში:

ბატონ ევანგულოვს, ქალაქის მოურავს!

სახელოვან მხედართა გვერდით კავკასიას ძეგლები უნდა დაედგა აგრეთვე ორის სახელოვანის მწერლისა და მეცნიერისთვის. მე მოგახსენებთ ბროსესა და დიუბუა დე მონპერეს შესახებ.

თუ პირველი ღრმა განათლებასთან ერთად თაყვან სცემდა საქართველოსა და სომხეთის გავლილ ცხოვრებას, მეორე—დიდ ნიჭიერ გეოგრაფოს, გეოლოგოს და ბოტანისტთან ერთად მადლიანი და შემქცევი მომთხრობელი და სინიდისიერი მწერალი იყო.

მათ ძვირფას თხზულებათა, რასაც ვერაოდეს ვერავინ აღემატება სინამდვილისა და მეცნიერებრივის სისწორის თვალით, უკვდავ ჰყვეს ორი ერი, რომლის მანამდე გაურკვეველსა და ბნელ ისტორიას შუქი მიაყენა ბროსეს მიერ ამოკითხულმა წარწერებმა, მისმა ლინგვისტიურმა კვლევა-ძიებამ და მისმა თარგმანმა ქართლის ცხოვრებისამ. დიუბუა დე მონპერემ თავისდა საპატიოდ აღწერა და გამოაქვეყნა მგზავრობა და ატლასი, ორივე შედევრი და ყოველის ცნობის დაუშრეტელი წყარო.

ქალაქის თვით მმართველობა, რომელიც უცნაურისა და უმნიშვნელო სახელ-წოდებით უხვია, როცა საქმე ,მიდგება ახალის ქუჩის დასახელებაზედ, ნუ თუ ვერ მოახერხებს, თავისს ავხმოვან საქუჩო სახელთა შორის, მიუჩინოს ადგილი ორს თუნუქის ფიცარს, რომელიც ყველასთვის გასაგები და მოსაწონი იქნებოდა და მოასწავებდა მადლობის მცირე და სამართლიან სასყიდელს, ორის ნიჭიერის კაცის სახსოვრად გარდახდილს.

რუსეთი

ამას წინად საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს შეეკითხა ერთის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მიღებულ იქმნეს სასწავლებელში ისეთი ბავშვები, რომელნიც ტუბერკულებით არიან ავად. კომიტეტს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ამ სენის გარდაწყვეტა ჯერ-ჯერობით ადრეა, რადგანაც სამკურნალო მეცნიერებას დღემდე ვერ გამოურკვევია, რამდენად გადამდებია ტუბერკულეზი.

— სასულიერო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ ვაჟთა სასულიერო სასწავლებელთა გალობის მასწავლებელთ იგივე უფლება და ჯამაგირი მიეცეთ, როგორიც აქვთ ამ სასწავლებლების შტატში მყოფ მასწავლებელთ, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ მიღებული.

— უმართებულესმა სენატმა ამ ცოტა ხანში უნდა გადასწყვიტოს შემდეგი საყურადღებო საგანი: შეუძლიან ერთსა და იმავე კაცს ქალაქის მოსამართლისა და ეკკლესიის მნათეს თანამდებობა შეასრულოს თუ არა.

— ეპარქიების სამღვდელოებას დავალა დაეხმაროს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთ ადგილობრივ მონასტრების დასათვალიერებლად საზაფხულო მოგზაურობის დროს.

უცხოეთი

ჩინეთი. ჩინეთის უწესობა რომ დაიწყო, მაშინვე ხმა გავრცელდა, ჩინეთის ორი მინისტრი დასჯილ იქმნენ იმისა გამო, რომ ქვრივს ემპერატრიცას ურჩევდნენ „დიდი მუშტის“ წინაადმდეგ რამე ღონისძიება ეხმარა და ამბოხება მოესპოთ. ამის შესახებ „Francfurt Zeitung“-ის პეკინელი კორრესპონდენტი შემდეგს იწერება:

„პრინცმა ტუანმა დაარწმუნა იმპერატრიცა, რომ ჩინეთის მომქმედი ჯარი შეიძლებდა არა მარტო იმას, რომ უცხოელები ჩინეთიდგან განედევნა, არამედ,

იმასაც, რომ, თუ უცხოელები ექსპედიციას გამოჰგზავნიდნენ, ამათთვისაც წინააღმდეგობა გაეწია და ჩინეთში არ შემოეშვა. მაინც ქვრივმა იმპერატრიცამ თავისით საქმის გარდაწყვეტა არ იკისრა და მიანდო იგი მინისტრთა საბჭოს, რასაკვირველია, იმ მოსაზრებით, რომ, თუ ჩინეთის ჯარი დამარცხდებოდა და ევროპიელებს ვერა სძლევდნენ, პასუხის მგებლად ამ საქმეში მინისტრთა საბჭო ყოფილიყო. ეს ჰქონდა მხოლოდ აზრად, როდესაც იმპერატრიცამ მინისტრთა საბჭო მოიწვია და თითონვე თავმჯდომარეობდა. მაგრამ ყოველივე ადრევე გაითვალისწინა, თუ რომ წინააღმდეგობას ვინმე გაუწევდა, და განკარგულება მოახდინა, რომ ჯალათები რჩევის ადგილის მახლობლად ყოფილიყვნენ: წინააღმდეგობას გამოიწვევს ვინმე და პასუხსაც იქვე მიეგებსო. როდესაც იმპერატრიცამ განუცხადა საბჭოს, რომ განზრახვა მაქვს იუნგლუს ჯარი მოვიწვიო ქალაქში და საელჩოები დავიმორჩილოო, ერთმა მინისტრთაგანმა, სახელად უანგ-ჩენგმა, უპასუხა თურმე, რომ ჩინეთის ასეთი საქციელი საერთაშორისო უფლების წინააღმდეგ დანაშაულობად ჩაითვლება, რის გამოც ჩინეთი უთუოდ იძულებული იქმნება ევროპის წინაშე პასუხი აგოსო. ამასთანავე დასძინა თურმე უანგ-ჩენგმა, რომ ჩინეთის ჯარი ერთობ სუსტია და ვერ შესძლებს ევროპის ჯარებს წინააღმდეგობა გაუწიოსო. უანგ-ჩენგის აზრს მხარი დაუჭირა მეორე მინისტრმა, ხსუმ. ამათ შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, ხმა აღარავინ ამოიღო; დაბოლოს ქვრივი იმპერატრიცა მიუბრუნდა ამ ორს მინისტრს და სასტიკად შეჰნიშნა: „თუ რომ უცხოელთა ჯარების ღირსებანი და ძალა ეგრე კარგად გაქვთ შესწავლილი, გთხოვთ მიბრძანდეთ აი, ამ კარებითა და იმ ჯარის უფროსობა იკისროთ, რომელმაც უცხოელები პეკინში არ უნდა შემოუშვას. მინისტრები, რასაკვირველია, მიჰხვდნენ, თუ იმპერატრიცას ასეთი ბრძანება რასა ჰნიშნავდა; იგინი მაშინვე წამოდგნენ და ამაყადა და მხნედ გასწიეს ნაჩვენებ კარებისაკენ, რასაც ჩინელები ჩვეულებრივად თავისუფლად ასრულებენ ხოლმე, როდესაც ჰხედავენ, რომ წინააღმდეგობით ვეღარას გახდებიან. კარებს იქით მინისტრებს ჯალათები უცდიდნენ. როდესაც ჯალათებმა ხელი სტაცეს, უანგ-ჩენგმა შემდეგი სიტყვებით თურმე მიჰმართა დამსწრეთ: „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ, ეს ყველამ იცის და არც-თუ ჩაგვიდენია ისეთი რამე, რაც ჩვენს ტანისამოსს ჩირქს სცხებდეს, არცხვენიდეს, განაგრძეთ ეს ჭუჭყიანი საქმე, მაგრამ გახსოვდეთ! ვიდრემდის ჩვენი გვამი გაცივდებოდეს, იმ დრომდის პეკინში უკვე უცხოელთა თოფ ზარბაზნის ხმა გაისმის და სასახლის კარს თამამად შემოაღებენო“!

სასჯელის შემდეგ მინისტრების გვამი ნათესავებს გადასცეს, რომელთაც შესაფერის პატივით მიაბარეს იგინი მიწასა. უანგ-ჩენგის წინასწარმეტყველება მართლაც გამართლდა: უცხოელნი ამ ჟამად ჩინელთა სასახლეში არიან გამოჭიმულნი და ქვრივმა იმპერატრიცამ-კი თავს გაქცევით უშველა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

პარიჟში განუზრახავთ საბიბლიოგრაფიო საერთაშორისო ჟურნალის გამოცემა. ამ ჟურნალის გამომცემლობა უკისრნია მდიდარ წიგნების ვაჭარს ველტერს. ჟურნალი დაიბეჭდება ხუთ ენაზედ: ფრანგულსა, ნემეცურსა, ინგლისურსა, იტალიანურსა და ესპანურს ენაზედ. ჟურნალში დაიბეჭდება წერილები ბილიოგრაფიისა, წიგნების ბეჭდვის საქმისა, ლიტერატურის ისტორიისა და სხვათა შესახებ. გამომცემელი ყველას იწვევს ამ ჟურნალში მონაწილეობისათვის და თაბახში ავტორებს 50 ფრანკს ჯილდოსა ჰპირდება.

* * *

ინგლისში ყველას ყურადღება მიიქცია ამას წინად ქ-ნ სტოკსის მიერ გამოცემულმა წიგნმა შექსპირის ოჯახის შესახებ. ავტორს, რომელსაც მრავალი ძველი არქივი გადაუჩხრეკია, ბევრი ახალი ცნობა შეუკრებია შესანიშნავ პოეტისა და იმის ოჯახის შესახებ.

* * *

არსად მურაბა ისე არ უყვართ, როგორც ინგლისში და არსად მურაბას იმდენს არ ამზადებენ, რამდენსაც იქ. მურაბას იქ შეჰხვდებით ყველგან, ამასთან ბლომად: როგორც მდიდარ არისტოკრატისა და ბურჟუას, ისე ღარიბ მუშისა და ფერმერის ოჯახში. ასეთმა დიდმა მოთხოვნილებამ მურაბისამ საქარხნო წარმოება გამოიწვია. ზოგიერთი ქარხანა, სადაც მურაბას ამზადებენ, ძალიან კარგადაა მოწყობილი და ქარხნის პატრონნი დიდ ფულსაც იგებენ. საუკეთესო ქარხანად დღეს ჩაივერსის ქარხანა ითვლება ხისტონში. დიდ-ძალი ადგილი უჭირავს ამ ქარხანას; მუშაობს იქ 1000 კაცზედ მეტი. მოჰყავთ ამ ადგილზედ ხეხილი და სამურაბო მცენარეულობა, როგორც, მაგალითად, მინდვრის მარწყვი, ჟოლო (მთის მაყვალი) და სხვა. ამას გარდა მოჰყავთ ალუბალი, ბჟოლა, ქლიავი და სხვა. მრავალი სამურაბე ხილი სხვა ადგილიდგან მიაქვთ ინგლისში, იტალიიდგანა და ესპანიიდგან, მაგალითად. ყოველ დღე ეს ქარხანა რამდენსამე ვაგონს მურაბასა ჰგზავნის ინგლისის სხვა-და-სხვა ადგილას. მურაბას გარდა ეს ქარხანა ამზადებს ჟელესა, დაშაქრულ ხილს და სხვას თუ რამდენად დიდი ვაჭრობა აქვს ამ ქარხანას, სჩანს იქიდგან, რომ ინგლისის სხვა-და-სხვა ადგილას ოცი წარმომადგენელი ჰყავს. წარმომადგენელნი ამ ქარხანას ინგლისის ახალშენებშიაც-კი ჰყავს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

გელსინგფორსი. 1 მარტს სტატსკი სოვეტნიკმა ბერენდტმა პეტერბურგში გაგზავნა ფინლანდიის სტატს-სეკრეტარიატის საქმეები 1809 1825 წლებისა. ეს საქმეები, უმაღლესის ბრძანებით, ფინლიანდიის სახელმწიფო არხივიდგან რუსეთის სახელმწიფო არხივს უნდა გადაეცეს.

იოკაგამა. კორეის მთავრობა აცხადებს, რომ დანიშნა ელჩები, რომლებიც უცხოეთის სხვა-და-სხვა მთავრობასთან გაიგზავნებიან. ჰფიქრობენ, რომ ელჩების საქმე იქმნება, კორეის ნახევარ კუნძულის ხელუხლებლობა დაიცვანო.

კაპშტადტი. იტყობინებიან, რომ დევეტმა სენეკალთან ორი მიწაში ჩაფლული ზარბაზანი იპოვნაო. ეს ზარბაზნები ოდესმე ბურების გენერალს პრინსლოს ეკუთვნოდნენო.

ვაშინგტონი. ჰფიქრობენ, რომ ჩინეთს 200 მილიონ დოლარზედ მეტის გარდახდა არ შეუძლიან. ამერიკა 25 მილიონით დაკმაყოფილდება და კიდევ უფრო ნაკლებსაც დასჯერდება, თუ სხვა სახელმწიფოებიც თავიანთს მოთხოვნილებას შესაფერისად უკლებენ. ამერიკა იმისი თანახმაც-კია, რომ სულ ასი მილიონი მოეთხოვოს ჩინეთს, მაგრამ თავისს მოვალეობად მიაჩნია, უზრუნველ ჰყოს თავისს ქვეშევრდომებისა და სახელმწიფოსათვის ისეთი საზღაური, როგორიც სხვა სახელმწიფოების მოთხოვნილებასთან შედარებით შეეფერება მას.

კონსტანტინოპოლი. მინისტრების საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ საბერძნეთის წინააღმდეგ მიღებული დიფერენციალური ტარიფი გაუქმებულ იქმნეს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ბურებს კიტჩინერის მიერ წარდგენილ პირობების წინააღმდეგ განსაკუთრებული რამ აზრი არ გამოუთქვამთ. ბოტას თავისს მხრივ არავითარი წინადადება არ წარმოუდგენიაო. კერძო დეპეშაში იუწყება კიტჩინერი, რომ ბოტა მილნერს მეტის მეტად მკაცრად ელაპარაკებოდაო.

11 მარტი.

პეტერბურგი. ი. ბ. პოპოვის მამული, პავლინის მთა, განთქმული თავისს აუარებელის ხელ-უხლებელის მინერალურის სიმდიდრითა და ტყეებით, სივრცით 330 დესეტინა, პერმის გუბერნიაში, ხერსონის მემამულემ გრაფმა გ. გ. სტენბოკ ფერმორმა იყიდა.

ვილნო. პოლესის რკინის გზაზედ ვილნო-ბარანოვიჩის შტოზე ნამქერისა და ქარ-ბუქისა გამო მატარებელთა მოსვლა შესწყდა.

პეკინი. გერმანიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იაპონიის ელჩები შეიკრიბნენ სხდომაზედ, რომ სამხედრო ხარჯების ანაზღაურებისა და კერძო პირთა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ჩინეთის ქონებრივი მდგომარეობა გამოარკვიათ.

ვენა. როგორც ხმა ისმის, დეპუტატთა დღევანდელს სხდომაზედ საერთო საიმპერიო ხარჯის ავსტრიასა და უნგრეთს შორის გასანაწილებლად მიღებულ იქმნა თურმე ბერის წინადადება, რომ ავსტრიამ მიიღოს 65,4°/₀ ხარჯისა, ხოლო უნგრეთმა 34,6°/₀. ყველა სხვა წინადადებები უარყოფილ იქმნენ. ამავე საგნის შესახებ უნგრეთის დეპუტაციასთან მოსალაპარაკებლად არჩეული იქმნა მცირე კომისია, შვიდის კაცისაგან შემდგარი.

შანჰაი. აქ მოვიდა გენერალი გეზლი. იაპონიის ფლოტის სამხედრო ფეხზედ დაყენებისა და რუსეთის ფლოტის კორეასთან შემოკრების შესახებ გავრცელებული ხმები არა მართლდება.

12 მარტი.

პეტერბურგი. მოსკოვისა, ხარკოვისა და ნოვგოროდიდგან ცნობანი მოვიდა, რომ სამადლობელი პარაკლისები იქმნა გარდახდილი უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორის პობედონოსცევის განსაცდელისაგან გადარჩენისა გამო.

ჩერნიგოვი. ჩერნიგოვის საპატიმროდგან გაიქცა კატორღაში გასაგზავნი მკრეხელობისათვის ტუსაღი ჩერნობრივცევი (იგივე პოლივოდა). ჩერნობრივცოვი მეორედ გარბის; პირველად სასამართლოში საქმის გარჩევამდე გაიქცა.

დურბანი. ვლაკლაგტეს ჩრდილოეთით 400 ბურმა გაძარცვა მატარებელი, სურსათით დატვირთული, რამდენისამე ვაგონის ტვირთი წაიღეს და ისე წავიდნენ.

მოსკოვი. საერო განათლების შესახები კრება დაბოლოვდა. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სააღსამზრდელო საგანს სხვა საგნებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიეცეს და სასწავლებელში წეს-რიგის დაცვის საქმე უნდა დამყარებული იყოს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთიერთ სიყვარულსა და პატივისცემაზედაო. წკეპლით დასჯას ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირველ-დაწყებითს სასწავლებელში და ამიტომ სასურველია, რომ გაუქმებულ იქმნას 1828 წლის სამრევლო სასწავლებელთა წესდების მე-31 მუხლი, რომლითაც წკეპლის ხმარება ნება-დართულიაო. სასურველია დედათა პროგიმნაზიებსა და საქალაქო სასწავლებლებთან გამართულ იქმნას საპედაგოგიო კლასები მასწავლებელ ქალთა და კაცთა მოსამზადებლად. მკურნალებს უფლება უნდა ჰქონდეთ, თუ ვინიცობაა სასწავლებელში გადამდები რამ სენი გაჩნდა, დაჰკეტონ იგი. პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში სხვა-და-სხვა ხელობას არ უნდა ასწავლიდნენ; ხელობათა სწავლებისათვის საგანგებო სასწავლებლები უნდა იყოს დაარსებული. სასურველია, რომ პირველ-დაწყებითს სასწავლებელში შემოღებულ იქმნას ხატვისა და ხაზვის სწავლება ოთხის წლის კურსის განმავლობაში. სასურველია, რომ შემოღებულ იქმნას შინ სახმარებელ ნივთების კეთების სწავლება. სასურველია მასწავლებელთა შორის სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელება და ამ აზრით საგანგებო დრო-გამოშვებით კურსების დაწესება და სასწავლებლებთან ბაღებისა და ბოსტნების გამართვა. სასურველია ახალის სახის საქარხნო ორ-კლასიანი სასწავლებელი იქმნას შექმნილ-შემუშავებული ქარხანაში მომუშავე ბავშვთა სასწავლებლად. სასურველია, რომ დიდად იყოს გავრცელებული საზოგადოებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ სწავლას სასწავლებლის გარეშე, იმ პირობით, რომ ამ საზოგადოებათ თავისით შეეძლოთ მოქმედებაო. კრებამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობანი იმის შესახებ, რომ: ნება დართულ იქმნას სასწავლებლის შენობაში საუბარნი იქმნას გამართული ხანდახან მხოლოდ მახლობელ მთავრობის ცნობით; ნება დართულ იქმნას სახალხო კითხვათა მმართვა კერძო და საერობო და საქალაქო სიფხიზლის საზოგადოებათა თხოვნისამებრ მთავრობის მიერ ამ საგნისათვის მოწონებულ წიგნაკებით; ნება დართულ იქმნას სახალხო აუდიტორიებში წაკითხვა სამინისტროს მიერ სახალხო წიგნთ-საცავებისათვის მოწონებულ წიგნებისა; ნება-დართულ იქმნას სახალხო კითხვების დროს ბაასი მსმენელებთან და განმარტება ნაჩვენებ სურათების შინაარსისა.

ტიანძინი. რუსეთის სამხედრო გემი „აბრ“ მოვიდა და გარეთ ნავთსაყუდელში დადგა. ტაკუსთან შემდეგი რუსეთის გემები სდგას: „კორნილოვი“, „დმიტრი დონსკოი“, „გილიაკი“ და „ბობრი“; საფრანგეთისა: „Redutalle“ და „Bengale“ და ერთიც გერმანიისა: „Furst Bismark“-ი.

აქ მოვიდა კონკინის რაზმის უელსის მსროლელთა ასი კაცი. ორშაბათს ავსტრალიელები მიდიან.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა, ტფილისის მეურმეთა და მედროგეთა შესახებ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 § ის თანახმად, უცხადებს მსუბუქ და მძიმე ბარგის მატარებელ ურმებისა და დროგების პატრონთ, რომ ორივ საზოგადოების მამასახლისთა და მათის კანდიდატთა არჩევანები დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში, პირველის საზოგადოებისა — 15 მარტისათვის ნაშუადღევის სამ საათზედ, ხოლო მეორისათვის 18 მარტისათვის დილის 10 საათზედ. ამისათვის სთხოვს ურმებისა და დროგების ყველა პატრონთ მობრძანდნენ არჩევნების მოსახდენად დანიშნულს დროზედ გამგეობის დარბაზში თავიანთის ნიშნებით ანუ სავალდებულო დადგენილებათა წიგნებით. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ გამგეობის სადგომში 13 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა, რათა **იჯარით გაიცეს სამუშაო ბეტონის წყლის სადენის გაკეთებისა.** ეს წყლის სადენი უნდა გაკეთდეს ქ. ტფილისის მე-8 ნაწ., პანასევიჩის ქუჩიდგან მაშინ-ჯალოვის სახლამდე გონჩართა ქუჩაზედ 115 საჟ. სიგრძე უნდა ჰქონდეს და დაჯდეს 2,665 მან.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობათა გასინჯვა შეუძლიან გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ საქმის დღეს დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—6.—3)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება

ზეხილები

ვაშლისა, მსხლისა, კაკლისა, ალუბლისა და სხვანი საუკეთესო ხარისხისა. ფასები ზომიერია. (3—57—2)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება

ცელიულიარული გრენა (თესლი)

ფრანგულისა, იტალიურისა და ბაღდადურის ჯიშისა. (3—58—3)

1 მარტიდგან ქ. ბათუმში, მიხეილის ქუჩაზედ, გავხსენი **ღვინის სარდაფი** ამ ფირმით

„ბანზა“.

ამ ფირმის ღვინოები გაიყიდება აგრეთვე **ქ. ფოთში, ძმათა კვინიხიძეთა მაღაზიაში.** ფირმა მეტად იაფად ჰყიდის განჯურ ღვინოებს. მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ ღვინო როგორც ფოთიდგან, აგრეთვე ბათუმიდგან.

(3—56—3) ი. გ. ოჭკანეზოვი

აბრეშუმის თესლი

„მაკონომიდის“ და **„ბერტი და ამხანაგობის“** ფირმისა თეთრი ბანდეროლით იყიდება სათავად-აზნაურო ქარვასლაში, ფრანგთა კანტორაში, № 127, სასახლის ქუჩაზედ. (2—47—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Марта 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.